საქართველოს მოქალაქის მიერ ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღის საქართველოში შემოტანის ნებართვა

„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს მოქალაქის მიერ ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღის საქართველოში შემოტანის ნებართვის მისაღებად, ფიზიკურმა პირმა უნდა მიმართოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „მომსახურების სააგენტოს“. ნებართვის მაძიებელმა სააგენტოში უნდა წარადგინოს:

- განცხადება, რომელიც უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;
- განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;
- მოთხოვნას;
- განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;
- განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.
- განმცხადებელს უფლება აქვს წარუდგინოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა სხვა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

საქართველოს მოქალაქის მიერ ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღის საქართველოში შემოტანის ნებართვისთვის დადგენილი სანებართვო მოსაკრებელი განსაზღვრულია 8 ლარის ოდენობით.

ამასთან, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ საქართველოს მოქალაქეზე ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღის საქართველოში შემოტანის ნებართვის გაცემისთვის გაწეული მომსახურების საფასური ერთ ერთეულ იარაღზე შეადგენს 10 ლარს.

ნორმატიული აქტები

- ✓ საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“
  https://www.matsne.gov.ge/document/view/26824?publication=120

- ✓ საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“
  https://matsne.gov.ge/document/view/12880?publication=93

- ✓ საქართველოს კანონი „იარაღის შესახებ“

https://matsne.gov.ge/document/view/14944?publication=86

- ✓ საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“

  https://matsne.gov.ge/document/view/23230?publication=40

- ✓ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 21 სექტემბრის N162 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის წესისა და დამატებითი პირობების დადგენის შესახებ“

  https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/10426?publication=10